28/02/2024

MES 7 24 0000229544

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **შპს "სკოლა ეისი":**

ვასილ ქეშელაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2. **შპს "თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემია" :**

ლევან ტიკაძე - სკოლის დირექტორი
გიორგი ტიკაძე - სკოლის იურისტი
ნინო მაღრაძე- სასწავლო პროცესის კოორდინატორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს "სკოლა ეისი":

ქეთევან ბოტკოველი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ცირა ნიკოლაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

შპს "თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემია" :

ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 14 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.შპს "სკოლა ეისიში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.შპს"თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიაში" განხორციელებული მონიტორინგის შე დეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ვინაიდან ტექნიკური ხარვეზის გამო შპს სკოლა ეისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ქეთევან ბოტკოველის საბჭოს სხდომაზე ჩართვა გაჭიანურდა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განსახილველ საკითხთა გადანაცვლება და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.**შპს "თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიაში"განხორციელებული მონიტორინგის შე დეგების განხილა;**
2. **შპს "სკოლა ეისიში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

1.შპს "თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა -აკადემიაში" განხორციელებული მონიტორინგის შე დეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ ა ც ი ლ ე ბ ა ა რ ჰ ქ ო ნ დ ა თ .
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ხუციშვილმა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით არაგეგმური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 დეკემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მუხიანის II მ/რ, წმინდა ნინოს ქუჩა N19-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 177-ს.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 05 დეკემბრის N 1650063 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების, კერძოდ, დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „გ.ა“, „გ.გ“ და ,,გ.დ“ კომპონენტებისა და „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმება. ბრძანებას საფუძვლად დაერთო შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის მოსწავლის წარმომადგენლის ცენტრში შესული საჩივრი. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განმარტა, რომ მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 სტანდარტები (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა კომპონენტების შეფასებას, 3.1 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან სკოლაში არსებული სხვადასხვა სტრუქტურის უფლება-მოვალეობები არ შეესაბამებოდა რეალურად განხორციელებულ ქმედებებს, კერძოდ, სკოლას მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტის განმხილველ ორგანოდ შინაგანაწესით განსაზღვრული ჰყავდა დირექცია, თუმცა ასეთი სტრუქტურული ერთეული/ორგანო სკოლის სტრუქტურით არ იყო განსაზღვრული. გარდა ამისა, ზოგიერთ თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი უფლების ჩამორთმევის ცნობები და არ იყო საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი. ასევე „მეტწილად“ შეფასდა კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე არ ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან, გარდა ამისა, სკოლას არ ჰყავდა ექიმი; „მეტწილად“ შეფასდა კომპონენტი 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა), ვინაიდან სკოლის შინაგანაწესში არ იყო გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინარული სახდელების შესახებ ინფორმაცია.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა წარადგინა სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ამსახველი ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რატომ იყო მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის განმხილველ ორგანოდ სკოლის დირექცია განსაზღვრული, მაშინ როცა, აღნიშნული სტრუქტურული ერთეული სკოლის სტრუქტურით არ იყო განსაზღვრული. დაწესებულების იურისტმა გიორგი ტიკაძემ განმარტა, რომ შინაგანაწესში იყო ტექნიკური შეცდომა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ხარვეზი, ასევე, აღნიშნა , რომ პრობლემის აღმოფხვრაზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი და საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია დაინტერესდნენ საჩივარში ვიდეოკამერებთან მიმართებით დაფიქსირებული საკითხით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სკოლის საკლასო ოთახებსა და დერეფნებში მიმდინარეობდა ვიდეომონიტორინგი 24 საათის განმავლობაში. მათ კითხვით მიმართეს ექსპერტს, სწავლების პერიოდში მიმდინარეობდა თუ არა საგაკვეთილო პროცესის ვიდეო-მონიტორინგი და სთხოვეს მეტი დეტალი წარმოედგინათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განმარტა, რომ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე მუდმივად მიმდინარეობდა აუდიო და ვიდეო ჩანაწერის წარმოება, თუმცა არც ერთ საკლასო ოთახში კამერები არ იყო

დამონტაჟებული, შესაბამისად, საგაკვეთილო პროცესის ჩაწერა არ ხორციელდებოდა. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ და განმარტა, რომ ექსპერტთა მხრიდან ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ვიდეოკამერის არსებობა არც ერთ საკლასო ოთახში არ ფიქსირდებოდა.
ვიდეოკამერებთან დაკავშირებით დამატებითი განცხადება გააკეთა სკოლის იურისტმა, გიორგი ტიკაძემ და აღნიშნა, რომ მშობლების მხრიდან მუდმივად ხდებოდა მოთხოვნა, საკლასო ოთახებში ვიდეოკამერების მონტაჟისა, თუმცა სკოლის წარმომადგენლები განუმარტავდნენ, რომ აღნიშნული მოთხოვნა კანონმდებლობასთან შეუსაბამო იყო.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა საჩივართან დაკავშირებით დამატებით განაცხადა, რომ აღნიშნულში ასევე მოხსენიებული იყო ერთ-ერთი პირი, როგორც არაუფლებამოსილი, რომელიც იმყოფებოდა დაწესებულებაში. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული პირი იყო დირექტორის მამა, რომელიც იყო სკოლის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და მის ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენდა სკოლის მართვასა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში მონაწილეობის მიღება, შესაბამისად არ იყო დარღვეული სკოლის შიდა რეგულაციები.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა წვდომა განმცხადებლის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ექსპერტთა ჯგუფს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება და განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა სკოლაში ვიზიტის განხორციელებამდე ცენტრში შემოსული საჩივარი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, ვიზიტის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაცია კი მხოლოდ საბჭოს წევრებს მიეწოდათ გასაცნობად და მას არ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის წევრები.
სკოლის იურისტმა, გიორგი ტიკაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ საჩივარზე სკოლას არ ჰქონდა ინფორმაცია, რასთან დაკავშირებითაც ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომ საჩივრის გამოთხოვა დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელი იყო ოფიციალური წერილის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივრის შინაარსის გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის არ ხდებოდა. ცენტრის წარმომადგენელმა ასევე განმარტა საჩივრის გამოთხოვის პროცედურა და აღნიშნა, რომ თუ სკოლა გამოითხოვდა საჩივარს, ცენტრი მიმართავდა განმცხადებლებს და მხოლოდ მათი ნებართვის შემდგომ მოხდებოდა საჩივრის ტექსტის დაინტერესებული მხარისათვის გაზიარება. ცენტრის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლებს ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიეწოდათ ინფორმაცია მონიტორინგის განხორციელების საფუძვლის შესახებ.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა ასევე განმარტა, რომ საჩივრის დეტალების დაზუსტების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუებს ატარებდა როგორც მშობლებთან და მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. ერთ-ერთ პედაგოგთან ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ კონკრეტული კლასის მართვის პროცესში გამოვლენილი იყო გარკვეული ტიპის სირთულეები და ამ მიმართულებით მასწავლებელს დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა სახის აქტივობები, გარდა ამისა, მოსწავლეებთან აქტიურად მუშაობდა სკოლის ფსიქოლოგიც.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, წარმოედგინათ არგუმენტირებული პასუხი, თუ როგორი იყო სკოლის მხრიდან დანახული რეალობა და საბჭოსთვის გაეცნოთ მეტი დეტალი მშობლებთან კომუნიკაციის გზებსა და პრობლემური საკითხის მოგვარების მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა, ლევან ტიკაძემ აღნიშნა, რომ არ იცნობდა საჩივრის შინაარსს, თუმცა ფაქტი, რის გამოც არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა, სკოლისათვის ცნობილი იყო. აქვე, განმარტა, რომ ქმედება, რომელიც მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს დაარღვევდა, არ განხორციელებულა სკოლაში. დამატებით მან განაცხადა, რომ მოსწავლეებს შორის კონფლიქტი წარმოშობილი იყო სასწავლო პროცესის მიღმა, დასვენების პერიოდში, ერთ-ერთ სოციალურ გვერდზე შექმნილ საერთო მიმოწერის ჯგუფში, შესაბამისად

დაწესებულებამ ვერ დააწესა დისციპლინარული სახდელი. სკოლის იურისტმა, გიორგი ტიკაძემ დამატებით განმარტა, რომ საკითხს ასევე სწავლობდა სახალხო დამცველი და პროკურატურა.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, ნანახი ჰქონდა თუ არა ექსპერტებს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შესყიდვის დოკუმენტები და როდის აღჭურვა სკოლამ აღნიშნულით დაწესებულება. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განმარტა, რომ სკოლას 2022 წელს გავლილი ჰქონდა ავტორიზაცია, აღნიშნულ დოკუმენტაციაში კი ზუსტად იმავე რაოდენობის კამერები ფიქსირდებოდა, რამდენიც 2023 წლის ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, ასევე დაინტერესდა საჩივარში არსებული გარემოებების სამომავლო პრევენციისთვის ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე სტრატეგია შედგენილი და იყო თუ არა რაიმე კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული. სკოლის სასწავლო პროცესის კოორდინატორმა, ნინო მაღრაძემ განმარტა, რომ სკოლა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის ინტერვენციებს და როგორც საგნობრივ, ისე სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი ჰქონდა ისეთი აქტივობები , როგროიცაა პედაგოგიური საათი, გასვლითი ღონისძიებები და დისკუსიები მოსწავლეებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო 17:00
დასრულების დრო 17:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -8
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო-სკოლა აკადემიაში მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ დაინახეს მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები.

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის (ს/კ: 209451573) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, შესაძლებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველისა და პროკურატურის მოკვლევის დასკვნები გაეზიარებინათ საბჭოსთვის.

2. შპსსკოლა ეისიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით არაგეგმური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა, 2023 წლის 07 და 08 დეკემბერს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. გორი, ბესიკის ქ.N5-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 04 დეკემბრის N 1644412 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს - "სკოლა ეისის" მიერ ავტორიზაციის პირობების, კერძოდ, დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის „გ.დ“ კომპონენტით და ამავე მუხლის "დ" ქვეპუნქტის კომპონენტებით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმება. ბრძანებას საფუძვლად დაედო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სკოლის მოსწავლის მშობლის განცხადება, რომელიც ითხოვდა რეაგირებას მისი შვილის მიმართ განხორციელებულ არაეთიკური საქციელზე, კლასის დამრიგებლის მხრიდან. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის განმავლობაში გასაუბრება ხორციელდებოდა თანამშრომლობით გარემოში.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, საბჭოს და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საჩივართან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნა, რომ მშობელთან გასაუბრებით და მისი საჩივრის წერილის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ მოსწავლეს პრობლემა შეექმნა კლასის დამრიგებელთან, რომელიც ხშირად, უსამართლოდ აძლევდა მას შენიშვნებს არსებულ ვითარებაში გარკვევის გარეშე და სხვა მოსწავლეების დანაშაულსაც მას აბრალებდა. მისივე განმარტებით კლასში სწავლობდნენ ამავე სკოლის წამყვან პოზიციაზე დასაქმებულის შვილები, რომელთაგან ერთ-ერთი აღიზიანებდა მის შვილს და იწვევდა მის ცუდ ქცევას, მაგრამ მისი დედის თანამდებობრივი პოზიციის გამო, მას შენიშვნას არ აძლევდნენ.

არსებული ვითარების შესასწავლად ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ განხორციელდა გასაუბრებები, ასევე სკოლის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. ექსპერტის განცხადებით დირექტორმა მშობელს ურჩია მიემართა ფსიქოლოგისთვის, რაზეც მშობელმა უარი განაცხადა.
ექსპერტმა სტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, მეოთხე სტანდარტი კი შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მან ისაუბრა 3.4.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებულ ხარვეზებზე და განაცხადა, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რითაც დადასტურდებოდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი გადამზადებული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ასევე არ ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰყავდა ექიმი და არ ჰქონდა სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. სკოლამ, დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც განსაზღვრა თითოეული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ: რესურსცენტრში გადაგზავნილი წერილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის გადამზადებასთან დაკავშირებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გადაგზავნილი წერილი, რომლითაც ითხოვდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას. სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად ასევე, წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსთან გაგზავნილი წერილი სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით და დოკუმენტაცია, რითიც დასტურდებოდა ექიმის ასაყვანად კონკურსის გამოცხადება. ექპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ ასევე უზრუნველყო ექიმის კაბინეტის აღჭურვისთვის გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებების წარმოდგენა, საიდანაც ირკვეოდა, რომ მედიკამენტების შესყიდვა სკოლამ უზრუნველყო, თუმცა ნაწილობრივ მოხდა ექიმის კაბინეტისთვის აღჭურვილობის შეძენა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან ვერ მოხდა სრულად კაბინეტის აღჭურვა, ინდიკატორის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, რამაც გამოიწვია 3.4 კომპონენტის შეფასება როგორც „არ შეესაბამება“.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ყურადღება ასევე გაამახვილა 3.4.1.3 ინდიკატორზე და განაცხადა, რომ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული, ვინაიდან სკოლამ კონკრეტულ მეორე კლასში ვერ უზრუნველყო მოსწავლის ქცევის მართვა და ვერ შექმნა სხვა მოსწავლეებისთვისაც ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. თუმცა, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, სკოლამ გააფორმა ექვსთვიანი ხელშეკრულება კვალიფიციურ ფსიქოლოგთან, რომელმაც შეიმუშავა ქცევის მართვისა და ფსიქო/ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები და სამუშაო გეგმა.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ 3.4.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ საჩივრის ტექსტის მიხედვით მშობელი იუწყებოდა, რომ დამრიგებელი თავს არიდებდა მასთან კომუნიკაციას. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რატომ არ ჰქონდა აქტიური კომუნიკაცია კლასის დამრიგებელს მშობელთან, რატომ ვერ მოხდა სკოლის მხრიდან მშობლის დარწმუნება მიემართა ფსიქოლოგისთვის და ასევე, რა მექანიზმები არსებობდა სკოლაში მოსწავლის მშობლისაგან დასაცავად.
სკოლის დირექტორმა, მარიკა ტლაშაძემ განაცხადა, რომ სკოლას კომუნიკაცია ჰქონდა მშობელთან, მათ შორის კომუნიკაციას ამყარებდა კლასის დამრიგებელიც. მშობლის პრეტენზია კი გამომდინარებდა მასწავლებლის მხრიდან მხოლოდ არასამუშაო დღეს გაუცემელი ან დაგვიანებული პასუხებიდან, რასთან დაკავშირებითაც მასწავლებელს სკოლამ გამოუცხადა საყვედური. რაც შეეხებოდა ფსიქოლოგის საკითხს, სკოლის დირექტორმა, მარიკა ტლაშაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან ნოემბერში მოხდა მშობლისთვის ფსიქოლოგის კონსულტაციის შეთავაზება, ვინაიდან სხვა მასწავლებლებიც ხედავდნენ ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროებას, რაზეც მშობელმა უარი განაცხადა.

საბჭოს მდივანმა, მანანა ჭინჭარაძემ მოცემული გარემოებიდან გამომდინარე, სკოლას რჩევის სახით განუმარტა, რომ მსგავს შემთხვევებში სკოლა უფლებამოსილია და ამასთანავე მნიშვნელოვანიც იყო რომ პროცესში ჩაერთო სოციალური მუშაკი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ეისის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო 17:40
დასრულების დრო 17:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა ეისი (ს/კ: 417885649) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 18:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა